# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 17

2014 წ. "29" 08

ქ.თბილისი

### სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

### საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 242728679) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (პროფესიული კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150-ით.
2. სსიპ - პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2014 წლის 29 აგვისტოს №5 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე

*დანართი*

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ელექტრიკოსი | III | ელექტრიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 2 | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი | III | სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 3 | კონდიტერი | III | კონდიტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 90 |
| 4 | ღონისძიებათა მომწყობი | III | ღონისძიებათა მომწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 5 | კალატოზი *(მილევად რეჟიმში)* | III | კალატოზის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |
| 6 | თექის ხელოსანი *(მილევად რეჟიმში)* | III | თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 30 |
| 7 | ძრავის შემკეთებელი *(მილევად რეჟიმში)* | III | ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 8 | მღებავი *(მილევად რეჟიმში)* | III | მღებავის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 45 |